## § 1. რუსული ისტორიოგრაფია XVIII საუკუნეში

*ისტორიოსოფიული იდეები*

XVII საუკუნეში კაცობრიობის ისტორიის ფილოსოფიური გააზრება რაციონალიზმის იდეის ჩარჩოებში ხდება და დაკავშირებულია პირველყოვლისა ბუნებითი სამართლის და საზოგადოებრივი ხელშეკრულების შესახებ სწავლებასთან. ამ თეორიამ თავისი განვითარება ჰპოვა ჰოლანდიელი იურისტის ჰუგო გროციუსის (1583-1645) (მისი ტრაქტატი ,,ომისა და მშვიდობის წესების შესახებ'' დაახლოებით 1710 წელს ითარგმნა რუსულ ენაზე) და ინგლისელი ფილოსოფოსის თომას ჰობსის (1588-1679) შრომების წყალობით. (1651 წელს დაიბეჭდა მისი მთავარი თხზულება ,,ლევიათანი''). ორივე მოაზროვნე ცდილობდა განეხილა ისტორია საბუნებისმეტყველო ცოდნის პრიზმაში, მათ სახელმწიფოებრივი ურთიერთობების განვითარების კანონები გონებიდან და გამოცდილებიდან გამოჰყავდათ და არა თეოლოგიიდან.

არისტოტელეს მსგავსად გროციუსი ადამიანს სოციალურ არსებად თვლიდა და ამიტომ ურთიერთობებისკენ ადამიანის ლტოლვას აღიარებდა მისი ბუნების უმნიშვნელოვანეს თვისებად. მასთან საზოგადოების ისტორიული განვითარების სქემა შემდეგი სახით გამოიყურებოდა: ძველად ადამიანებს არ ჰქონდათ კერძო საკუთრება, ნივთებს ფლობდნენ მხოლოდ ბუნებრივი მოთხოვნილებიდან გამომდინარე. ხალხი ცხოვრობდა უბრალოდ და ერთმანეთთან კარგი ურთიერთობები ჰქონდათ. მიწათმოქმედების, მესაქონლეობის და ხელოსნობის განვითარებასთან ერთად გაჩნდა ,,სხვადასხვაგვარი გამომგონებლობა'' და ეშმაკობა ,,სიკეთე წაიბილწა ბოროტებით'', გამეფდა ძალადობა. ძალადობის საპირისპიროდ ცალკეულმა, დაფანტულმა ოჯახებმა გადაწყვიტეს შეექმნათ სახელმწიფო – ,,თავისუფალი ადამიანების კავშირი, დადებული უფლებების დაცვისა და საერთო სარგებლისთვის''. ამრიგად პირველად ადამიანები გაერთიანდენ სახელმწიფოში არა ღვთის ნებით არამედ საკუთარი ნებით.

ადამიანთა ურთიერთობების ისტორიული განვითარების სქემა რომელსაც გვთავაზობს ჰობსი არსებითად განსხვავდება გროციუსის ანაგებისგან, თუმცა მათი დასკვნა იდენტურია. ჰობსი თვლიდა, რომ ადამიანებისთვის სრულიად არ არის დამახასიათებელი ურთიერთობის სურვილი და მათი ბუნებრივი მდგომარეობაა ,,ყველას ომი ყველას წინააღმდეგ''. ადამიანთა ქცევები განისაზღვრებოდა არა მორალის პრინციპით, არამედ საკუთარი სარგებლიდან გამომდინარე. ადამიანის ცხოვრება ბუნებრივ მდგომარეობაში როცა არ იყო წარმოება, მიწის დამუშავება არც მეცნიერება, ხელოვნება იყო ,,ღარიბი, უხეში, უაზრო'' უბრალოდ, რომ ვთქვათ აუტანელი. ადამიანებმა ნებაყოფლობით უარი თქვეს თავისუფალ მდგომარეობაზე და დადეს საზოგადოებრივი ხელშეკრულება, გადასცეს რა თავიანთი ბუნებითი უფლება სახელმწიფოს, რომელსაც უნდა მოეღო ბოლო ,,ყველას ომისთვის ყველას წინააღმდეგ''.

ამრიგად გროციუსი და ჰობსი სახელმწიფოს წარმოშობას ერთნაირად ხსნიან, როგორც ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ხელშეკრულების შედეგს. განსხვავება შეინიშნება სახელმწიფოს და ქვეშევრდომების უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით. გროციუსი აღიარებდა ხელისუფლების წინააღმდეგ ხალხის გამოსვლის უფლებას თუ ის იქცევა ,,ბუნებითი სამართლის საპირისპიროდ''. ჰობსი კი გამოდიოდა უმაღლესი ხელისუფლების ურყევობის თეზისით. მისთვის სახელმწიფო არის მიწიერი

ღმერთი, ლევიათანი - ბიბლიური ზღვის ურჩხული, რომელიც ფლობს უჩვეულო ძალას. ძალა სახელმწიფოს სჭირდება რათა უზრუნველყოს თავისი ქვეშევრდომების ბედნიერი ცხოვრება ანუ 1) დაიცვას ისინი გარეშე მტრისგან 2) შეინარჩუნოს მშვიდობა ქვეყნის შიგნით 3) უზრუნველყოს ადამიანთა კეთილდღეობა და სიმდიდრე, 4) თითეულ მოქალაქეს შესთავაზოს უფლება ისარგებლოს თავისუფლებით სხვა მოქალაქეებისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

სახელმწიფოს ,,დამცველობითმა'' ფუნქციამ გროციუსი მიიყვანა აზრამდე სამართლიანი და უსამართლო ომების შესახებ. სამართლიანს ის მიაწერდა თავდაცვას, დაპყრობილი ქონების დაბრუნებას, სამართლის დარღვევაზე დასჯას.

ზემოთ აღნიშნულმა მსჯელობებმა დიდი გავლენა მოახდინა XVII -XVIII სკ. ისტორიკოსების ნაშრომებზე. დასავლეთევროპელი რაციონალისტების იდეები რუსულ ნიადაგზეც განვითარდა. სულ უფრო ჩვეული ხდებოდა ისტორიის დაყოფა არა ღვთაებრივ და პროფანულ არამედ ძველ, საშუალო და ახალ დროებად. რამდენადაც ისტორიის შემოქმედი იყო ადამიანი ყველა ისტორიული მოვლენა განისაზღვრებოდა გონებით და ჯანსაღი აზრით და მას პრაგმატული ხასიათი ჰქონდა. ისტორიის მთავარი მამოძრავებელი გახდა ,,სახელოვანი ადამიანების'', დიდი ისტორიული პიროვნებების ქმედებები. ადამიანის ბუნებრივი უფლებები, მისი ქცევის მოტივები გააზრებული იყო როგორც უცვლელი ყველა დროში რომელიც კარნახობს საზოგადოების და სახელმწიფოს განვითარების კანონებს, განსაზღვრავს წარსულის შეფასებებს. თვითონ ისტორია კი ხდება ცხოვრების მასწავლებელი.

ბუნებითი სამართლის დასავლეთ ევროპული თეორია რუსეთში გამოიყენებოდა აბსოლუტიზმის აპოლოგიისთვის. მისი აშკარა მომხრე იყო ტ. პროკოპოვიჩი (1681-1736), თავისი დროის ერთ-ერთი გამოჩენილი პუბლიცისტი და საეკლესიო პოლიტიკური მოღვაწე. ის იყო ავტორი თხზულების ,,იმპერატორ პეტრე დიდის ისტორია დაბადებიდან პოლტავის ბრძოლამდე''. მასვე ეკუთვნის მრავალრიცხოვანი საქებარი სიტყვები, რამდენიმე თხზულება რიტორიკაზე და ლექსები. მისი აზრით ხალხები რომლებმაც ჯერაც არ იციან სახელმწიფო კანონები ,,ბუნებითი კანონებით იქცევიან''. ამასთან პირველი ბუნებითი კანონი  არის ,,ღვთის სიყვარულის და შიშის კანონი'', და მორჩილება ღვთისგან დაყენებული ხელისუფლების. პროკოპოვიჩი თვლიდა, რომ ყველა ხალხისთვის არაა ბუნებრივი მონარქიული წყობა. ამ აზრთან იყო დაკავშირებული ე.წ. ,,სახელმწიფო რეგულირების'' თეორია რომელიც რუსეთში განავითარა პეტრე I-მა. ამ თეორიის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფოს მიერ საერთო კეთილდღეობაზე ზრუნვის უპირველეს ნიშანს წარმოადგენს ქვეშევრდომთა ცხოვრების მუდმივი და ფხიზელი რეგლამენტაცია მთავრობის მხრიდან, მეურვეობა და კონტროლი მათი ქცევაზე.

პროკოპოვიჩი კარგად იცნობდა ანტიკური ავტორების ნაშრომებს, მათგან აიღო ისტორიის გაგება, რომლის მთავარი ამოცანა მისი აზრით არის ისწავლო ცხოვრება სხვის მაგალითზე. ამიტომ ისტორიული ცოდნა უნდა იყოს უტყუარი, სუფთა ლეგენდებისგან და მონაგონისგან. ისტორიკოსი უნდა იყოს მიუკერძოებელი, ენდოს მარტო იმ ცნობებს წარსულის შესახებ რომელიც არ იწვევს ეჭვს ავტორთა უმრავლესობაში,  რამდენადაც აზრთა სხვადასხვაობის უკან ხშირად იმალება სიცრუე.

თვითონ ისტორიული თხზულება უნდა დაიწეროს მოკლედ, ნათლად, წვრილმანებით და მჭერმეტყველებით გართობის გარეშე.

***<u>პეტრე I რეფორმები და მისი როლი რუსული ისტორიული მეცნიერების განვითარებაში.</u>***

XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი დიდი და სერიოზული ცვლილებების პერიოდია, რომელიც შეეხო რუსეთის ცხოვრების პრაქტიკულად ყველა მხარეს (სოციალური ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, რელიგიური). პეტრე I-ის რეფორმები ხელს უწყობდა აბსოლუტური მონარქიის ჩამოყალიბებას, ამ დროს შეიქმნა ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული აპარატი, წარმატებები იქნა მიღწეული საგარეო პოლიტიკაში და ა.შ. ბოლოს ამ პერიოდიდან დაარსდა სპეციალური სასწავლო დაწესებულებები, მეცნიერებათა აკადემია, დაიწყო გაზეთების გამოცემა, იგზავნებოდა ექსპედიციები ქვეყნის გამოსაკვლევად. მოკლედ ახალი სასწავლო დაწესებულებების დაარსებამ სამოქალაქო ანბანის შემოღებამ, საერო წიგნების და ბეჭდური გაზეთების გამოცემამ განაპირობა შემდგომი წარმატებები ისტორიული ცოდნის გავრცელებაში. 1724 წლის 28 იანვარს პეტრე I-მა ხელი მოაწერა მეცნიერებათა აკადემიის შექმნის ბრძანებას. მისი პირველი სხდომა შედგა უკვე იმპერატორის გარდაცვალების შემდეგ 1725 წლის 12 ნოემბერს, ხოლო საზეიმოდ გაიხსნა 1725 წლის 27 დეკემბერს. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის შექმნა განაპირობებდა ისტორიული ცოდნის გავრცელებას და გაღრმავებას, რამდენადაც აკადემია გახდა ძირითადი სასწავლო ცენტრი ქვეყანაში მეცნიერთა მუდმივი შტატით, ბიბლიოთეკით, მუზეუმით და ა.შ. XVIII საუკუნის რუსეთში მსხვილი ისტორიული ნაშრომების გამოცემა ასე თუ ისე დაკავშირებულია მის საქმიანობასთან.

პეტრე I-ის ყურადღება ისტორიისადმი და მისი რწმენა ისტორიული ნაშრომების სარგებლიანობაში შესამჩნევი იყო აკადემიის დაარსებამდეც. 1708 წელს პეტრემ დაავალა მოსკოვის სტამბის - ,,პეჩატნი დვორ" - უფროსს ფ. პოლიკარპოვს დაეწერა რუსეთის ისტორიის სახელმძღვანელო, მაგრამ პოლიკარპოვმა ვერ გაართვა თავი მის წინაშე დასმულ ამოცანას და მისი ნაშრომი რომელიც მეფეს წარუდგინა 1715 წელს, პეტრეს არ მოეწონა, ასევე არ მოეწონა 7 წლის შემდეგ, 1722 წელს დაწერილი ნაშრომიც. მეფემ დაასაჩუქრა პოლიკარპოვი 200 მანეთით, მაგრამ მისი ისტორია არ დაბეჭდილა.

ამ მიმართლებით უფრო გაუმართლა ალექსეი ილიას ძე მანკიევს და მის ,,რუსეთის ისტორიის ბირთვს" (,,Ядро российской истории"). ავტორმა ნაშრომი დაწერა შვედებთან ტყვეობაში, ჩრდილოეთის ომის დროს. ,,ბირთვი" შედგებოდა 7 წიგნისგან. პირველი ოთხი ეძღვნებოდა XVII საუკუნემდე ამბებს. ავტორი რუსეთის ისტორიას იწყებდა რიურიკიდან, ის თვითმპყრობელობას თვლიდა რუსეთის მმართველობის უძველეს ფორმად. საუბრობდა რა ტერმინ ,,სლავების" წარმოშობაზე პოლემიკაში შედიოდა იმ უცხოელებთან რომელთაც ეს ტერმინი გამოჰყავდათ სიტყვიდან ,,სკლავუს" (მონა, არათავისუფალი) თვითონ მანკიევი ამბობდა, რომ სლავები დაერქვა ხალხს მისი დიდებული (славный) საქმეების და გმირობების გამო. XVII საუკუნის ისტორიას ეხებოდა შემდეგი სამი წიგნი და მხოლოდ უკანასკნელი მეშვიდე წიგნის რამდენიმე თავი ეხებოდა პეტრე I-ის თვითმპყრობელობის საკითხს.

მანკიევი ცდილობდა მოვლენები გადმოეცა მოკლედ, მკაფიოდ და ამასთან ფაქტებისთვის მიეცა დამოუკიდებელი შეფასება. მისი შეფასებები ისტორიულ მოვლენებზე მოცემულია დროის სულისკვეთებით და სრულად პრაგმატულია. მაგალითად რუსული მიწების დაქუცმაცებულობა მოხდა მთავრების გადამეტებული ხელისუფლების სიყვარულის გამო, მაგრამ როცა საჭირო იყო მათ შეეძლოთ თავიანთი ამბიციების გვერდზე გადადებაც, თუნდაც მაშინ როცა დაეხმარნენ თავიანთ მტრებს, პოლოვცებს საერთო საფრთხის მოსაგერიებლად კალკასთან.

თავისი ნაშრომის დასაწერად ავტორმა გამოიყენა როგორც რუსული მატიანეები და პროტოგრაფები ასევე ბერძნული და ლათინური წიგნები. 1715 წელს დასრულებული ნაშრომი გამოცემულ იქნა მხოლოდ 1770 წელს. შაპიროს აზრით ,,რუსული ისტორიის ბირთვი" გამოცემის დროისთვის უიმედოთ მოძველებული იყო თუმცა მისი დაწერის მომენტშიც არ გამოირჩეოდა სიახლეებით".

ახალი თემატიკით და აგებულებით ისტორიული თხზულებები მიეძღვნა თანამედროვე ისტორიას პირველყოვლისა ჩრდილოეთის ომს და ნაკლებად პეტრეს რეფორმებს. ამ შრომების შემქმნელები იყვნენ იმპერატორის სამხედრო და პოლიტიკური თანამებრძოლები, მათი ნაშრომები ატარებდა აშკარად გამოხატულ პუბლიცისტურ ხასიათს.

ცნობილი დიპლომატი პეტრე პავლეს ძე შაფიროვი (1669-1739) იყო ავტორი ნაშრომის რომელიც ეძღვნებოდა შვედეთთან ომის მიზეზებს. მასში ფართოდ იყო გამოყენებული დოკუმენტური მასალა და ერქვა ,,მსჯელობა რა კანონიერი მიზეზები ჰქონდა მის უდიდებულესობას პეტრე პირველს კარლოს XII-თან საბრძოლველად."

ისტორიის თხრობის საინტერესო მცდელობა ჰქონდა თავად ბორის ივანეს ძე კურაკინს (1676-1727) რომელმაც შექმნა ,,ჰისტორია მეფე პეტრე ალექსის ძის შესახებ", რომელშიც ყვებოდა პეტრე I-ის მეფობის რთულ პერიოდზე 1682-1695 წწ. ავტორის ჩანაფიქრი უფრო ფართო იყო ვიდრე ის რამაც საბოლოო ჯამში იხილა დღის სინათლე, კურაკინს უნდოდა დაეწერა ..ჰისტორია რუსულ-სლავური იმპერიის შესახებ" სადაც გეგმავდა გაეცა პასუხი სლავი ხალხის წარმოშობის და რუსული მთავრების დინასტიის საკითხებზე, რუსეთის გაქრისტიანებაზე და კიევიდან ვლადიმირში იქიდან კი მოსკოვში დედაქალაქის გადატანაზე, სურდა აეღწერა ივანე III-ის და ივანე მრისხანეს მეფობა მოეყოლა დიდ არეულობაზე და XVII მოვლენებზე.

პეტრეს დროს ისტორიული ცოდნის შესახებ საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს, რომ მისი მეფობის ბოლოს პირველად იქნა მიღებული ზომები რუსეთის ისტორიის უძველესი წყაროების მოგროვების და გამოქვეყნების საქმეში. (1720 წლის ბრძანებით ყველა ეპარქიას, მონასტერს, ტაძარს ძველი წყალობათა სიგელები და სხვა წერილები ასევე ისტორიული ხელნაწერი წიგნები უნდა გადაესინჯათ, გადაეწერათ გუბერნატორებს, ვიცე გუბერნატორებს, ვოევოდებს და ეს გადაწერილი წიგნები გაეგზავნათ სენატში)

***<u>ვასილი ტატიშევის ისტორიული კონცეფცია</u>***

პეტრე I-ის ბრძანებით დაიწყო კვლევები ცნობილმა რუსმა ისტორიკოსმა, გეოგრაფმა და ეთნოგრაფმა ვასილი ნიკიტას ძე ტატიშევმა (1686-1750). ტატიშევი ახალგაზრდობაში მონაწილეობდა ნარვის აღებასა და პოლტავის ბრძოლაში. ცხოვრების თითქმის ნახევარი, მსახურობდა სამხედრო უწყებაში, პეტრე I-ის მეფობის ბოლოს

დანიშნულ იქნა სამთო ქარხნების მმართველად ურალში. პეტრეს შემდგომ პერიოდში ტატიშევი იყო მოსკოვში სამონეტო კანტორის წევრი. ანა იოანეს ასულის გამეფება ხელსაყრელი აღმოჩნდა ტატიშევის კარიერული ზრდისთვის, მიიღო ნამდვილი ,,სტატსკი სავეტნიკის'' ჩინი. 1734 წელს დაინიშნა პერმისა და ციმბირის სამთო ქარხნების უფროსად, 1739 წელს კი გადაყენებულ იქნა ხელისუფლების გადამეტების ბრალდებით. ბირონის ჩამოგდებამ და ახალმა გადატრიალებამ რომელმაც ტახტზე აიყვანა ელისაბედ პეტრეს ასული, დაეხმარა ტატიშევს თავი დაეღწია დევნისთვის. 1741 წელს ის გაგზავნეს კალმიკიის კომისიაში ადგილობრივ მოსახლეობას და რუსულ ადმინისტრაციას შორის ურთიერთობების დასალაგებლად. მოგვიანებით დაინიშნა ასტრახანის გუბერნატორად. 1745 წელს კვლავ დადგა მისი სამართლებრივი დევნის საფრთხე, ისტორიკოსი დასახლდა მოსკოვის შემოგარენ ბოლდინოში, სადაც ცხოვრობდა სიცოცხლის ბოლომდე. სიკვდილამდე ერთი დღით ადრე მასთან მივიდა კურიერი ცნობით, რომ მოეხსნა ყველა ბრალდება და დაჯილდოვდა ალექსანდრე ნეველის ორდენით. ორდენზე ტატიშევმა უარი თქვა იმ მოტივით, რომ მისი დღეები დათვლილი იყო. ისტორიისთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მისი გარდაცვალებიდან ცოტა ხანში ბოლდინოში გაჩნდა ხანძარი, რომელმაც გაანადგურა მეცნიერის პრაქტიკულად ყველა ხელნაწერი და წიგნი, გადარჩა მხოლოდ ის ნაწილი რაც სხვის ხელში იყო.

ტატიშევი პეტრეს ეპოქის მოღვაწის ნათელი მაგალითია. ისაა მკვლევარი პრაქტიკოსი, პეტრეს დროინდელი გარდაქმნების აქტიური მონაწილე. ისაა ისტორიკოსი-პატრიოტი რომლისთვისაც ბრძოლა უცხოური მტკიცებების წინააღმდეგ, რომ ,,რუსეთს ძველი ისტორია არ ჰქონდა'' იყო მთავარი ამოცანა, მაგრამ ამასთან არ იყო მტრულად განწყობილი არც სხვა სახელმწიფოს არც სხვა ეროვნების ისტორიკოსების მიმართ. თავისი ადმინისტრაციულ-სამეცნიერო საქმიანობა ტატიშევმა დაიწყო 1719 წელს როცა პეტრე I-მა დაავალა მას ,,შეექმნა რუსული გეოგრაფია ლანდკარტებით'', მასზე მუშაობისას ახალგაზრდა მკვლევარი დადგა აუცილებლობის წინაშე სერიოზულად დაკავებულიყო სიძველეებით და ისტორიით.

ტატიშევი შეუდგა მუშაობას ნაშრომზე ,,რუსეთის ისტორია ყველაზე უძველესი დროიდან'' რომელმაც მას წაართვა 30 წელი, მაგრამ არ ყოფილა დასრულებული, უფრო მეტი ტატიშევის ,,პირმშომ'' დღის სინათლე ნახა მხოლოდ 18 წლის შემდეგ მისი გარდაცვალებიდან (პირველი გამოცემის სრული სახელი იყო: ,,История Российская с самых древнейщих времен неусыпными трудами через тридцат лет собранная и описанная покойным тайным советником и астраханским губернатором Васильем Никитичем Татищевым“) ისტორიის პირველი სამი ტომი დაბეჭდილ იქნა მილერის მიერ 1768-1774 წწ. მეოთხე 1784 ხოლო მეხუთე 1849 წელს. მთელი თხზულება 4 ნაწილად იყოფოდა. პირველ ნაწილში მოცემული იყო ვრცელი შესავალი რომელშიც ავტორი ხსნიდა ისტორიული ნაშრომის წერის პრინციპებს, დიდ ყურადღებას უთმობდა ისტორიის სარგებლიანობის ახსნას. ეს ტატიშევის ნაშრომს ყველა სხვა აქამდე ცნობილი ნაშრომიდან განასხვავებდა. ავტორი გვაძლევს ისტორიის კლასიფიკაციის საკუთარ ვერსიას და ყოფს მას: 1) საკრალური ისტორია 2) ეკლესიასტიკა - საეკლესიო ისტორია 3) პოლიტიკა ან საერო ისტორია 4) მეცნიერების ისტორია. ამასთან მასალის გადმოცემის მიხედვით ისტორია არის: გენერალური (ზოგადი), უნივერსალური

(ვრცელი), პარტიკულარული (კერძო) და სპეციალური (განსაკუთრებული). განასხვავებს დროის მიხედვით: ძველი ისტორია, საშუალო და ახალი და ა.შ

შესავლის შემდეგ, პირველივე ნაწილში გაშუქებული იყო ქვეყნის უძველესი ისტორია (სკვითები, სარმატები, სლავები) 860 წლამდე. მეორე ნაწილი მოიცავდა დროს რიურიკიდან თათრების შემოსევამდე (პირველი და მეორე ნაწილის გადამუშავება ავტორმა შეძლო ახლებური ენით დანარჩენი დარჩა ძველ რუსულ ვარიანტში). მესამე ნაწილი მოიცავდა ისტორიულ ცნობებს მონღოლ-თათრების შემოსევიდან ივანე III-ის მიერ მათი უღლის გადაგდებამდე, მეოთხე - ივანე III-ის პერიოდიდან მიყვანილ იქნა 1577 წლამდე. თუმცა შემორჩენილა მასალები მომზადებული ტატიშევის მიერ XVII საუკუნის შესახებ.

,,რუსეთის ისტორიის'' ოთხი ტომი წარმოადგენდა პირველ ყოვლისა იმ მასალის კრებულს რომელიც ისტორიკოსმა შეკრიბა სხვადასხვა მატიანეებისგან. შემთხვევითი არაა, რომ სოლოვიოვი ამ გამოცემას უწოდებდა ,,მატიანეთა ტატიშევისეულ კრებულს'', მაგრამ მატიანეებისგან ისტორიკოსის თხზულება პრინციპულად განსხვავდებოდა: პირველი- ტატიშევი მიზნად ისახავდა სხვადასხვა წყაროებიდან მასალის შეეგროვებას და სისტემატიზაციას, მათ კრიტიკულად განხილვას; მეორე - ის ცდილობდა მოვლენათა მიზეზობრივი კავშირის დადგენას, რუსული ისტორიის უცხოურისთვის შედარებას, ფაქტების შეფასებას და ისტორიული პროცესის ახსნას.

რუსეთის ისტორიის გარდა ტატიშევს ეკუთვნის ნაშრომი სადაც საუბარია რუსული შლიახტობის და სახელმწიფო მმართველობის საკითხებზე (,,Произвольное и согласное рассуждение и мнение собравшегося шляхетства русского о правлении государственном'') შედგენილი 1730 წელს. ისტორიული და ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების განმარტებას შეიცავდა დაუსრულებელი ,,ლექსიკონი რუსული ისტორიული გეოგრაფიული პოლიტიკური და სამოქალაქო'', რომელიც შეიძლებოდა ჩაითვალოს პირველ რუსულ ენციკლოპედიად. რიგი მოსაზრებები თავისი კონცეფციების სასარგებლოდ სწავლულმა წამოაყენა ,,ორი მეგობრის საუბარი მეცნიერების და სასწავლებლების სარგებლიანობს შესახებ'', რომელიც გაჩნდა გერმანელი ისტორიკოსის სემუელ ფონ პუფენდორფის შრომების გავლენით.

თავის ნაშრომებში ტატიშევი გამოდიოდა საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის მომხრედ, რამდენადაც ,,ადამიანი მარტო უსარგებლოა''. ასაბუთებდა რა ადამიანთა საზოგადოებაში ხელშეკრულებითი ურთიერთობების აუცილებლობას, დაწყებული უბრალო ხელშეკრულებით ქმარსა და ცოლს შორის, რომელიც საფუძვლად უდევს გვაროვნულ ერთობას, შემდეგ ხდება მონარქიულ მმართველობაში გადაზრდა, სადაც ,,მონარქი თითქოს მამაა, ხოლო ქვეშევრდომები მის ნაშიერები''.

საზოგადოებრივი სტრუქტურის სქემა მეცნიერს შემდეგი სახით ჰქონდა წარმოდგენილი: პირველი საფეხურია ოჯახი (მეთაური-ქმარი); შემდეგ ყალიბდება გვაროვნული (ნათესაური) ერთობა (მეთაური-პატრიარქი, უხუცესი); მომდევნო სტადია სახლების გაერთიანება (,,Сообщество домовые'') (ბატონი-ყმა); გარკვეულ ეტაპზე ფორმირდება ისინი ქალაქებსა და სოფლებში, რომელიც იმართებოდა ბერძნული პოლისის მსგავსად (სახლის მფლობელთა შეკრებით ან გადაწყვეტილებებით რომელიც საერთო კრებებზე მიიღებოდა) ამ სტადიაზე ჩნდება სახელმწიფო როგორც ხალხსა და ხელისუფლებას შორის შეთანხმების შედეგი. შემდეგ

გაჩნდა არისტოკრატიული მმართველობა. დავებმა არისტოკრატებს შორის გამოიწვია მონარქის არჩევა  რუსეთში. ტატიშევს უნდა აჩვენოს მონარქისტული მმართველობა რუსული სახელმწიფოსთვის ,,რამდენად სასარგებლოა". აქეთკენ იყო მიმართული ავტორისეული რუსეთის წარსულის პერიოდიზაცია.

პირველი პერიოდია 860-1132 წწ. თვითმპყრობელობის ბატონობის პერიოდი, როცა გარდაიცვალა სლავების მთავარი გოსტომისლი, მალე ამას მოჰყვა შინაომები, იბრძოდნენ რა ერთმანეთში სლავებმა თავიანთ მიწას მეტი ზიანი მიაყენეს ვიდრე მტრებმა, სანამ ტახტი არ მიიღო რიურიკმა რა დროსაც ისეთი ,,თვითმპყრობელობა დაწესდა, რომელიც მსტისლავ I-ის გარდაცვალებამდე ურღვევად შენარჩუნდა", მეორე პერიოდია 1132-1462 წწ ,,კუთრად არისტოკრატიული" როცა ,,თავადები გაიყვნენ" ამ დროს რუსეთმა კვლავ დაკარგა მონარქია და თათრების უღელქვეშ მოხვდა.

მესამე პერიოდია 1462-1613 წწ. - ,,თვითმპყრობელური", როცა ,,იოანე დიდმა გადააგდო თათართა ხელისუფლება და აღადგინა მესამე სრუყოფილი მონარქია", ხოლო სამეფო ხელისუფლების დაკარგვამ XVII საუკუნის დასაწყისში კვლავ გამოიწვია არეულობა და სახელმწიფოს მიერ მნიშვნელოვანი ტერიტორიის დაკარგვა. წესრიგის აღდგენას შეუდგა კვლავ არჩეული რომანოვების დინასტია.

ამრიგად მონარქიულ მმართველობაში ხედავდა ტატიშევი რუსეთის ხსნას, რომელიც უზრუნველყოფს სიმშვიდეს და სახელმწიფოს უსაფრთხოებას. საერთოდ მისი აზრით დემოკრატია შეიძლებოდა სასარგებლო და ქმედითი ყოფილიყო ქალაქ სახელმწიფოებში, სადაც დიდი ჯაფის გარეშეა შესაძლებელი მოსახლეობის შეკრება. უფრო მსხვილ, მაგრამ გარე თავდასხმისგან შედარებით დაცულ ქვეყანაში როგორიცაა ინგლისი ხელისუფლება შეიძლება ეკუთვნოდეს არისტოკრატიასაც. დიდ სახელმწიფოებში ღია საზღვრებით რომელიც მუდმივად უნდა იქნას დაცული ,,უნდა იყოს მონარქია".

ტატიშევი ცდილობდა ბუნებითი სამართლის თეორია და ისტორიის რაციონალური გააზრება მიესადაგებინა წარსულის თეოლოგიურ, პროვიდენციალურ კონცეფციებთან. ,,მიზეზები ყველანაირი თავგადასავლისა სხვადასხვაა, ან ღვთისგან ან ადამიანისგან". ამტკიცებდა რა, რომ ბუნებითი კანონი ,,ყველაფერში და სულ უფრო ეთანხმება დაწერილ კანონს" ანუ საღვთო წერილს თუმცა რაციონალურად აღნიშნავდა, რომ უმრავლესობა ადამიანის ქმედების ,,ჭკუისგან ან უჭკუობისგან ხდება" (От ума или от глупости происходит)

ტატიშევი ანსხვავებს ისტორიული მოვლენების მიზეზებს, რომელიც მოდის ღმერთისგან ან ადამიანისგან. მას თავის ,,ისტორიაში" არანაირი ღვთიური მიზეზები არ მოუყვანია. უფრო მეტიც მან საკმაოდ თამამად გააკრიტიკა რელიგიური ტექსტები და საეკლესიო მითები. ისეთი პროგრესული საეკლესიო მოღვაწე როგორიცაა ტ. პროკოპოვიჩი აღშფოთებული იყო მისი მსჯელობებით. ტატიშევი უარყოფდა ცნობილ ლეგენდას რუსების ,,მონათვლაზე" მოციქული ანდრიას მიერ, აღნიშნავდა რა, რომ მატიანით კიევი დაარსებულია მხოლოდ VIII სკ. წარმართი სლავების მიერ და ანდრიას თავის დროზე შეეძლო მოენათლა მხოლოდ ქვები და ხეები აქაურ ქედებზე და ა.შ.

ეკლესიის კრიტიკა არანაირად არ ამცირებდა მთლიანად რელიგიის და ნაწილობრივ ქრისტიანობის მნიშვნელობას, რომელსაც ტატიშევი უდიდეს ადგილს ანიჭებდა საზოგადოების განათლებულობაში. . . .

ტატიშევის როგორც ისტორიკოსის დიდ დამსახურებას წარმოადგენს კვლევაში მის მიერ უზარმაზარი რაოდენობის სხვადასხვა სახის ახალი წყაროების ჩართვა. 1738 წელს მან წარუდგინა აკადემიას ,,რუსული სამართლის'' და ,,სამართლის წიგნის'' (,,Русская правда'', ,,Судебник'') ტექსტები საკუთარი ვრცელი კომენტარებით. პირველად სამეცნიერო მიმოქცევაში შემოღებულ იქნა რუსეთის ისტორიის ორი ძვირფასი ძეგლი.

ტატიშევმა არამხოლოდ მოამზადა ისტორიული დოკუმენტები გამოსაცემად არამედ მათი დაყოფის სქემა შემოგვთავაზა. მისი აზრით უნდა გამოიყოს წყაროების ორი კატეგორია: 1. ნაწერი ისტორია (უტყუარობის ხარისხის მიხედვით მიაკუთვნებდა: თვითმხილველებს, მოვლენებში მონაწილეებს, თანამედროვეებს, ვინც ცნობები მიიღო თვითმხილველელებისგან; - მწერლები რომლებიც ეყრდნობოდნენ წერილობით მასალებს; - ისტორიკოსებს რომლებიც სარგებლობდნენ უტყუარი მასალებით – უცხოელი ისტორიკოსები, მიკერძოებული – მეიგავე მწერლები) და 2. დიპლომატიური დოკუმენტები. წყაროების ზოგადი დახასიათებიდან მეცნიერი გადადიოდა მათ აღწერაზე (შექმნის ადგილი და დრო, შენახვის ადგილი, ძეგლის ენა და სტილი)

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ტატიშევი კონკრეტული ისტორიული პრობლემებით იყო დაკავებული. ა. შაპირო მას უწოდებდა რუსული გლეხობის პირველ ისტორკოსს, ბატონყმობის ამ ურთულესი პრობლემის პირველ მკლევარს.

***<u>მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ისტორიულ საქმიანობა;</u>***
***<u>ნორმანული თეორიის ჩასახვა განვითარება, მილერის და ლომონოსოვის პოლემიკა</u>***

პეტრე დიდის სურვილით დაარსებული მეცნიერებთა აკადემია ჩაფიქრებული იყო, როგორც სამეცნიერო დაწესებულება, რომელთანაც იფუნქციებდა გიმნაზია და უნივერსიტეტი, სადაც სტუდენტებს აკადემიკოსები და პროფესორები წაუკითხავდნენ ლექციებს. თავიდან აკადემიკოსები ბუნებრივია საზღვარგარეთიდან უნდა მოეწვიათ. შემთხვევითი არაა, რომ მეცნიერებათა აკადემიის პირველ პრეზიდენტად დაინიშნა გარუსებული გერმანელი, პეტრე დიდის თანამოაზრე ლავრენტი ლავრენტის ძე ბლუმენტროსტი. პეტრე II-ის მეფობის დროს ბლუმენტროსტი საიმპერატორო კართან ერთად გადავიდა მოსკოვში, ხოლო აკადემიის საქმეები ჩააბარა თავის მდივანს ივანე დანილას ძე შუმახერს, რომელიც მართავდა დაწესებულებას 1757 წლამდე.

პროფესორთა შემადგენლობა განსხვავდებოდა არა მხოლოდ ეროვნული კუთვნილებით არამედ მათი რეალური პროფესიონალური დამსახურების თვალსაზრისითაც, თუმცა არსებობის პირველივე წლებში მისი წევრები იყვნენ ისეთი ,,ვარსკვლავები'' როგორებიცაა ასტრონომი დელილი (ფრანგი) მათემატიკოსები ბერნული და ეილერი (შვეიცარელები) და სხვა.

აკადემია ეწეოდა მრავალმხრივ სამეცნიერო საქმიანობას, რაც შეეხება ისტორიას 1732 წელს (მართალი გერმანულად) გამოიცა პირველი ისტორიული ჟურნალი ხოლო ისტორიკოსებიდან შეიძლება დავასახელოთ: გ. ბაიერი, ი. ფიშერი, ფ. შტრუბე დე პირმონტი, გ. მილერი ა. შლიოცერი.

ფიშერს და შტრუბე დე პირმონტს რაიმე განსაკუთრებული კვალი ისტორიის მეცნიერებაში არ დაუტოვებიათ. პირველმა გერმანულად გამოსცა გ. მილერის ,,ციმბირის ისტორიის'' შემოკლებული ვარიანტი, მეორემ თავის შრომებს რუსული სამართლის ისტორიაზე საფუძვლად დაუდო ტატიშევის გამოუქვეყნებელი შრომები. დანარჩენებზე შევჩერდებით უფრო დაწვრილებით.

***გოტლიბ ზიგფრიდ ბაიერი (1694-1738).*** ეს გერმანელი მეცნიერი მეცნიერებათა აკადემიაში მოწვეულ იქნა 1726 წელს. ის იყო საკმაოდ ნიჭიერი ლინგვისტი, ბრწყინვალედ ფლობდა ლათინურს, შემდეგ შეისწავლა ძველი აღმოსავლური ენები, ამასთან ბაიერი სრულიად გულგრილი დარჩა რუსული ენის მიმართ მიუხედავად იმისა, რომ 10 წელზე მეტი გაატარა რუსეთში და მის ისტორიაზე მუშაობდა.

მეცნიერებათა აკადემიის ,,კომენტარებში" ბაიერმა დაბეჭდა სტატიები სკვითიის ადგილმდებარეობის, ვარიაგების, რუსების წარმომავლობის შესახებ და ა.შ. არსებითად ის გახდა რუსულ ისტორიოგრაფიაში ნორმანული თეორიის დამაარსებელი. ბაიერი თვლიდა, რომ ,,ველურ" სლავებს არ შეეძლოთ, უფრო განათლებული და განვითარებული ხალხის მხრიდან გარე ჩარევის გარეშე შეექმნათ და განევითარებინათ საკუთარი სახემწიფო. ისტორიკოსის ლოგიკური დასკვნა, რომ რიურიკი იყო ვარიაგი და შესაბამისად მოვიდა სკანდინავიიდან ამსხვრევდა ჩვეულ კონცეფციას, რომელიც მოცემული იყო ,,თქმულებაში ვლადიმირის მთავრებზე" (Сказании о князьях Владимирских).

თავისი დასკვნების გამო ისტორიკოსი მკაცრი კრიტიკის ქვეშ მოექცა ანტინორმანისტების მხრიდან. თანამედროვეთათვის ბაიერი როგორც მეცნიერი დიდ ინტერესს წარმაოდგენდა, ტატიშევი მის ყველა შეცდომას და უზუსტობას დაშვებულს სტატიებში ხსნიდა რუსული ენის არცოდნით თუმცა აღიარებდა, რომ ამ ისტორიკოსის შრომებმა მას ბევრი ახალი შესძინა.

თავისი შრომების შესაქმენლად ბაიერი ფართოდ მიმართავდა იმ დროს მიღებულ სიმბოლისტური ეტიმოლოგიის ხერხს. კნიაგინია ოლგაში ალოგიას, ვლადიმირში ვალდამარს ხედავდა და ა.შ. მაგრამ სიმბოლისტურ ეტიმოლოგიაში ამ დროს ჩნდება ახალი შტრიხებიც, სიფრთხილე ამა თუ იმ ხალხების ბიბლიური პერსონაჟებიდან გამოყვანისას, წყაროთმცოდნეობით ბაზის გაფართოება, კრიტიკულობა სხვადასხვა იგავების და ლეგენდების მიმართ (ასე ბაიერი გამოგონილად თვლიდა ლეგენდას ლივონიის დაარსების შესახებ ვინმე რომაელი ლიბონის მიერ, რომელიც ბალტიკაში მოვიდა ფლოტით იტალიიდან. მეცნიერი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ იგავის აღმოფხვრა შედარებით ძნელია ვიდრე მისი გამოგონება, თუმცა მისთვისაც არ ყოფილა უცხო ისტორიული ფანტაზიებით გართობა).

***გერარდ ფრიდრიხ მილერი (1705-1783)*** რუსეთში ჩამოვიდა 1725 წელს, 20 წლის ასაკში (სტუდენტი რომელსაც სწავლა არ ჰქონდა დამთავრებული) ის უცხო ქვეყანაში სწრაფი სამსახურეობრივი კარიერის გაკეთებას იმედოვნებდა. პეტერბურგში მილერმა მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკარის თანამდებობა დაიკავა და ფიქრობდა დაქორწინებას აკადემიის მდივნის შუმახერის ქალიშვილზე, მაგრამ ,,ოჯახური" კარიერა არ გამოვიდა. და მილერი მეცნიერებაში გადაეშვა. მილერის სამეცნიერო ინტერესების სფერო (მუშაობა რუსეთის ისტორიის საკითხებზე) ,,განსაზღვრა" ბაიერმა. პირველად მილერი საქმის უფრო პრაქტიკული მხარით იყო დაკავებული – მისი წყალობით გამოიცა გაზეთ ,,სანკტ პეტერბურგის უწყებანის" სამეცნიერო ლიტერატურული დამატება ,,ყოველთვიური ისტორიული, გენეალოგიური და გეოგრაფიული შენიშვნები". 1732 წლიდან გამოვიდა ,,რუსეთის ისტორიის კრებული" (Sammlung russischer Geschichte) პირველი ისტორიული ჟურნალი რუსეთში (გერმანულად). მოგვიანებით 1755-1765 წწ მისი მცდელობით გამოდიოდა

კიდევ ერთი სამეცნიერო პოპულარული ჟურნალი (Ежемесечние сочинения к пользе и увеселению служашие).

1733 წელს მილერი დიდი ციმბირული ექსპედიციის მონაწილე გახდა. მოგზაურობამ ციმბირში 10 წელი გასტანა და მისი შედეგი აისახა მონუმენტურ ნაშრომში ,,ციმბირის სამეფოს აღწერა და იქ მომხდარი ამბების დასაბამიდან განსაკუთრებით მისი რუსეთის სახელმწიფოს მიერ დაპყრობიდან ამ დრომდე" (,,Описание Сибирского царства и всех произошедших в нем дел от начала а особенно от покорения его Российской державе по сии времена"). მილერისეული ,,ციმბირის ისტორია" შემოკლებული სახით დაბეჭდილ იქნა პეტერბურგში 1750 წელს. თავის ნაშრომს მეცნიერმა საფუძვლად დაუდო მრავალრიცხოვანი საარქივო დოკუმენტები, შეკრებილი ექსპედიციის დროს, მარტო სააქტო მასალების ასლებმა შეადგინა 38 ტომი. ინფორმაციის წყარო მისთვის იყო ასევე ციმბირში შეკრებილი ზეპირი გადმოცემები და ადგილობრივი ხალხების წერილობითი ძეგლები (ტანგუტის და მუნგალის წიგნებიდან).

*(უნდას აღინიშნოს, რომ მილერთან ერთად ციმბირში მოგზაურობდა სტუდენტი სტეპან პეტრეს ძე კრაშენნიკოვი, რომელმაც კამჩატკის ექსპედიცის მსვლელობისას შეკრიბა უჩვეულო სიზუსტით გამორჩეული ცნობები გეოგრაფიული ეთნოგრაფიული და ისტორიული კუთხით. 1750 წელს უკვე ბოტანიკის პროფესორმა და სანკტ პეტერბურგის ბოტანიკური ბაღის დირექტორმა კრაშენნიკოვმა დაიწყო მუშაობა თავის ნაშრომზე ,,კამჩატკის მიწის აღწერა" რომლის სამეცნიერო მნიშვნელობაზე მეტყველებს მისი მრავალრიცხოვანი გამოცემა და თარგმანები).*

1743 წელს მილერი დაბრუნდა ციმბირიდან პეტერბურგში აქ მას 1740-იანი წლების II ნახევარში კონფლიქტი მოუვიდა პ. კრეკშინთან, რომელმაც სენატში წარმოადგინა დიდი მთავრების მეფეების და იმპერატორების გენეალოგია (,,Родословие великих князей царей и императоров") სადაც ამტკიცებდა, რომ რომანოვები უშუალოდ რიურიკისგან მოდიოდნენ. კრეკშინი მათ გენეალოგიურ ფესვებს ხან რომან ვასილის ძე იაროსლავსკის ხან კი რომან როსტისლავის ძე სმოლენსკს უკავშირებდა, რომლებსაც კიდევ ურევდა რომან მსტისლავის ძე გალიცკისთან. მილერმა რა თქმა უნდა გააკრიტიკა მთელი ეს გალიმატია (სისულელე), ხოლო კრეკშინმა დაასმინა მილერი ბრალი დასდო რა ,,მკრეხელობაში რუსი მთავრების მიმართ" და იმაში, რომ მილერმა თითქოს გაბედა და უმაღლესი გვარი დაწერა ,,უბრალო თავადაზნაურულად". ეს უკვე იმპერატორის უპატივცემლობას ნიშნავდა. სენატი და მეცნიერებათა აკადემია დიდი ხანი არკვევდნენ ამ ამბავს, მეცნიერს უშველა იმან, რომ მ. ლომონოსოვმა უსაფუძვლოდ აღიარა კრეკშინის მტკიცებულებები რომანოვების რიურიკიდან წარმომავლობის შესახებ. საქმე მილერის წინააღმდეგ შეწყდა. კონფლიქტი დავიწყებულ იქნა და 1748 წელს როცა მილერი გახდა რუსეთის ქვეშევრდომი, მან ისტორიოგრაფის წოდებაც კი მიიღო ვალდებულებით, შეექმნა ,,გენერალური რუსული ისტორია".

მალე ლომონოსოვს და მილერს შორის დაიწყო სერიოზული უთანხმოება ამ უკანასკნელის დისერტაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა რუსი ხალხის და სახელის წარმომავლობას (,,Происхождение имени и народа российского"). ავტორს სურდა საჯაროდ წარედგინა დისერტაცია მეცნიერებათა აკადემიაში 1749 წლის 25 ნოემბერს, ელისაბედ პეტრეს ასულის ტახტზე ასვლის საიუბილეო დღეს. მილერის სიტყვაში საუბარი იყო ველურობის შესახებ, რომელშიც იმყოფებოდნენ აღმოსავლეთ

სლავები ვარიაგების მოსვლამდე. ამასთან მეცნიერი საუბრობდა ვარიაგების მიერ რუსული მიწების დაპყრობაზე. ის თვლიდა, რომ რიურიკი მოვიდა ნოვგოროდში სკანდინავიიდან და იყო ნორმანი, ხოლო სახელი ,,რუსი" (Русь) მოდის ტერმინიდან ,,როსსოლაინი" რომლითაც ფინელები შვედებს მოიხსენიებდნენ. (მოგვიანებით მილერი ცვლის რიურიკის სამშობლოს პრუსიაზე). ეს მტკიცება არ მოეწონა ლომონოსოვს, რომელმაც განაცხადა, რომ მილერის დისერტაცია მიმართულია რუსი ხალხის წინააღმდეგ და უნდა აკრძალულიყო. ლომონოსოვის დასკვნას სრულად დაუჭირა მხარი მეცნიერებათა აკადემიის კანცელარიამ. მიუხედავად მკვეთრი წინააღმდეგობისა მილერმა მაინც გამოაქვეყნა დისერტაციის მნიშვნელოვანი ნაწილი ,,რუსეთის ისტორიის კრებულში". მილერ-ლომონოსოვის პოლემიკით დაიწყო რუსულ ისტორიოგრაფიაში ცნობილი დავა ნორმანისტებს და ანტინორმანისტებს შორის.

მილერმა ისტორიოგრაფის თანამდებობა დაკარგა, ის ჩამოშორეს აკადემიას, თუმცა მოგვიანებით ყველგან აღიდგინა თავი (მფარველობდა ეკატერინე II) 1765 წელს ის გადავიდა მოსკოვში, 1766 წელს დაშვებულ იქნა საგარეო საქმეთა კოლეგიის მოსკოვის კანტორის არქივში სამუშაოდ, ხოლო 1770 წელს მისი დირექტორიც გახდა. მილერი განაგრძობდა სამეცნიერო და საგამომცემლო საქმიანობას (გააგრძელა ციმბირის ისტორიის შედგენა, შეკრიბა უამრავი დოკუმენტი და დაწერა სპეციალური ნაშრომი პუგაჩოვის აჯანყების შესახებ და ა.შ.)

***მიხეილ ვასილის ძე ლომონოსოვი (1711-1765)*** არ ყოფილა პროფესიონალი ისტორიკოსი, მაგრამ ის უჩვეულო და მრავალმხრივი ნიჭით გამოირჩეოდა. 1730 წელს ლომონოსოვი ხოლმოგორიდან ჩამოვიდა მოსკოვში 1731-1734 წწ. სწავლობდა სლავურ-ბერძნულ-ლათინურ აკადემიაში, 1734-1735 წლებში სწავლობს კიევო-მოგილიანსკის აკადემიაში. 1735 წლის ნოემებრში 12 მოსწავლესთან ერთად შერჩეულ იქნა მეცნიერებათა აკადემიაში სწავლის გასაგრძელებლად. 1736 წელს ჩაირიცხა აკადემიის უნივერსიტეტში საიდანაც სამთო საქმის და მეტალურგიის შესასწავლად გაგზავნილ იქნა გერმანიაში, 1736-1739 წწ სწავლობდა მარბურგის უნივერსიტეტში. 1741 წელს დაბრუნდა რუსეთში და დაინიშნა მეცნიერებათა აკადემიის ადიუნქტად, 1745 წელს ლომონოსოვი არის აკადემიის სრულუფლებიანი წევრი და ქიმიის პროფესორი.

ისტორიული გამოკვლევებით ლომონოსოვი დაკავდა 1740 წლის II ნახევარში. დიდწილად ეს იყო დაკავშირებული მილერის დიესრტაციასთან. მის ძირითად ნაშრომად ითვლება ,,შენიშვნები მილერის დისერტაციაზე" და თხზულება ,,ძველი რუსეთის ისტორია რუსი ხალხის დასაბამიდან დიდი მთავრის იაროსლავს I-ის გარდაცვალებამდე ან 1054 წლამდე" (,,Древняя российская история от начала российского народа до кончины великого князя Ярослава Перваго или до 1054 года”) და მოკლე რუსული მატიანე გენეალოგიით (Краткий российский летописец с родословием) აკრიტიკებდა რა მილერის შეხედულებებს რუსეთის ძველი ისტორიის საკითხებზე ლომონოსოვი უპირისპირებდა მას საკუთარ ხედვას (დაიკავა მკვეთრად ანტინორმანისტული (არსებითად ანტიგერმანული) პოზიცია).

XVIII საუკუნის შუახანებში საკითხი სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ ფაქტობრივად დადის დინასტიის ეთნიკურ წარმომავლობასთან. არც ლომონოსოვი არც მილერი არ ეჭვობდნენ თვითონ რიურიკის არსებობას. სადაო იყო საკითხი ვინ იყო ის წარმომავლობით საიდან მოვიდა და როგორ გაჩნდა სახელი ,,Русь".

მილერი ენდობოდა ცნობას ,,გარდასულ წელთა ამბავი", რომ ,,ვარიაგებისგან დაერქვა სახელი რუსულ მიწას" და ახსნა როგორ მოხდა ეს. მისი აზრით სლავებმა აიღეს სახელი ,,რუსი'' ფინელებისგან, რამდენადაც ფინელები შვედებს უწოდებდნენ როსებს მათ ენაზე როსალეინე. ამდენად ნოვგოროდელმა სლავებმა გაიგეს რა ეს სახელი ფინელებისგან, დაარქვეს ის ყველა მოსულს ჩრდილოეთის ქვეყნიდან, ამიტომ ვარიაგებიც სლავებისგან რუსებადაა დასახელებული. შემდეგ კი სლავებმა იყვნენ რა ვარიაგების მფლობელობაში მიიღეს სახელი ,,რუსი''. თავის დროზე ბაიერი აღნიშნავდა რომ სახელი ,,Русь" სკანდინავიაში უცნობი იყო და იქიდან არ დარქმევია რუსებს. თვითონ მილერიც აღიარებდა, რომ სკანდინავიაში ვერ აღმოაჩინა ამ სახელის კვალი.

შეშფოთებული მილერის მტკიცებებით ლომონოსოვი ამბობდა, რომ 862 წელს ნოვგოროდში მოწვეული რიურიკი მოვიდა ვარიაგთა ზღვის (ბალტიის) სამხრეთ აღმოსავლეთ სანაპიროდან, სადაც ვისლას და დვინს შორის ცხოვრობდა სლავური ტომი ,,რუსი". რიურიკამდეც ცხოვრობდნენ აქ რუსები, ბერძნულად როქსოლანები.

ლომონოსოვის თეზისმა დაანგრია უცხო ავტორების მტკიცება რიურიკის მოსვლამდე სლავების აბსოლუტური სიველურის შესახებ და აყენებდა საკითხს სლავი ხალხის უძველესი წარმომავლობის შესახებ.

მეცნიერი აღიარებდა, რომ პირველი რუსი მთავრების ზოგი სახელი იყო აშკარად სკანდინავიური, მაგრამ სულ არ ნიშნავს ეს, რომ ისინი იყვნენ სკანდინავიელი. ვარიაგებს რომლებსაც ერქვათ ,,რუსი'' და ცხოვრობდნენ ვარიაგის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ჰქონდათ ურთიერთობა სკანდინავიელ ვარიაგებთან ზღვით და რადგან მთავრებს და წარჩინებულ ხალხს შორის ხშირი იყო შერეული ქორწინებები თავიანთი მეუღლეების ,,გულისმოსაგებად" შვილებს არქმევდნენ სკანდინავიურ სახელებს".

ლომონოსოვის არგუმენტები ყოველთვის არ იყო მყარი, არც წყაროები ყოფილა ყოველთვის უტყუარი და ობიექტური, მაგრამ მტკიცება რომ ძველმა სლავებმა თვითონ ააშენეს საკუთარი სახელმწიფო აძლევდა მეცნიერებას იმპულსს რუსეთის ისტორიის ფესვები ადგილობრივ ნიადაგზე ეძებნა.

ლომონოსოვთან ერთად ანტინორმანისტული პოზიცია ეკავა ვასილი კირილეს ძე ტრედიაკოვსკის (1703-1769). ცნობილ პოეტს, მთარგმენლს და ფილოლოგს. ის თვლიდა სლავებს როქსოლინებად, ამბობდა, რომ მათ ეკავათ უზარმაზარი ტერიტორია (სივრცე) შავიდან ბალტიის ზღვამდე. რიურიკი და მისი ძმები ვარიაგები უეჭველად იყვნენ სლავები. თვითონ სიტყვა ვარიაგი ტრედიაკოვსკის აზრით წარმომდგარი იყო სლავური სიტყვიდან ,,варью" ანუ ,,предваряю", ვარიაგი სლავები იყვნენ პირველმოსახლეები. მეცნიერ- ფილოლოგისთვის აშკარა იყო, ვარიაგები რომ სკანდინაველები ყოფილიყვნენ ისინი შესამჩნევ კვალს დატოვებდნენ ნოვგოროდელთა ,,სიტყვაში'' სხვანაირად უცხო მიწელი მმართველები უბრალოდ ვერ გაუგებდნენ თავიანთ სლავ ქვეშევრდომებს.

ლომონოსოვის და მილერის დავა საინტერესოა არა მხოლოდ იმით, რომ საფუძვლად დაედო ისტორიოგრაფიულ დისკუსიას ნორმანული თეორიის გარშემო. ორივე მეცნიერი ეხებოდა პრინციპულ საკითხებს თუ როგორ უნდა დაიწეროს ისტორია. მილერის აზრით ისტორიკოსი უნდა იყოს ჭეშმარიტების ერთგული, მიუკერძოებელი და მოკრძალებული. ,,ისტორიკოსის ვალდებულება ძნელი შესასრულებელია ... ის უნდა იყოს ისეთი თითქოს არ აქვს სამშობლო, რწმენა და

სახელმწიფო". ლომონოსოვი პირიქით თვლიდა, რომ ისტორიკოსი პირველყოვლისა უნდა იყოს თავისი სამშობლოს ჭეშმარიტი მოქალაქე და თავისი შრომა და სიცოცხლე უნდა მიუძღვნას სამშობლოს. ისტორია პოლიტიკური მეცნიერებაა ამიტომ დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს იმისგან ვინც მისითაა დაკავებული. მეცნიერმა შეიმუშავა კიდეც მკაფიო მოთხოვები ისტორიკოსის მიმართ, რომელიც უნდა იქნას დაშვებული არქივში ქვეყნის ისტორიის საწერად. 1) იყოს სანდო და ერთგული ადამიანი, 2) დაბადებით რუსი 3) არ იყოს მიდრეკილი ცინიზმისკენ.

დაახლოებით 1751 წელს ლომონოსოვმა დაიწყო მუშაობა ,,ძველი რუსეთის ისტორიაზე" შრომობდა დიდხანს და სისტემატურად. დიდ ყურადღებას უთმობდა წყაროებთან მუშაობას ამასთან არამხოლოდ რუსული წარმომავლობისა.

საერთოდ ლომონოსოვის ჩანაფიქრი უფრო ფართო იყო იმაზე რამაც საბოლოოდ იხილა დღის სინათლე. თხრობა ხელნაწერებში მან მიიყვანა 1452 წლამდე, მაგრამ დაბეჭდილ იქნა ისტორიის მხოლოდ პირველი ტომი 1054 წლამდე. ამ ტომის შესწორებული ვარიანტი გადაეცა დასაბეჭდად 1763 წელს, გამოიცა მხოლოდ 1766 წელს ავტორის გარდაცვალების შემდეგ. დანარჩენი ხელნაწერი და ავტორის შენიშვნები გაქრა.

ლომონოსოვის დიდი დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ მან რუსეთის ისტორიის თხრობა რიურიკიდან კი არ დაიწყო (როგორც უცხოელთა უმრავლესობა), არამედ მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა ვარიაგამდელ პერიოდს ამტკიცებდა რა სლავური ტომების უძველეს წარმომავლობას.

საუბრობდა რა რუსი ხალხის წარმომავლობის საკითხზე ლომონოსივი უთითებდა, რომ ეს პროცესი ძალიან რთულია და მაში მონაწილეობდნენ არა მხოლოდ აღმოსავლეთ სლავი ტომები არამედ სკვითებიც, სარმატებიც და სხვა ხალხებიც. სლავები იყვნენ აღმოსვლეთ ევროპის ავტოქტონი მოსახლეობა, თავისი განვითარების დონით იმ ხალხების მსგავსი რომლებიც დასავლეთ ევროპაში სახლობდნენ. მეცნიერის მოსაზრებები რასობრივი და ეთნიკური თვალსაზრისით ,,სუფთა" ხალხების არარსებობის, დროსა და სივრცეში სლავების ყოფის ცვლილებების შესახებ მართლაც გარღვევა იყო მეცნიერებაში, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ ავტორის არაპროფესიონალიზმს ისტორიულ სფეროში.

ლომონოსოვმა 1760 წელს (ა. ბოგდანოვთან ერთად) დაწერა და გამოსცა ,,მოკლე რუსული მატიანე გენეალოგიით". მასში მოცემული იყო სია მთავრების და მეფეების პეტრე I-მდე. მათი ცხოვრების აღწერით, ასევე გენეალოგიური ცხრილები. ,,მოკლე მატიანე" განკუთვნილი იყო რუსეთის დიდი მთავრის პავლე პეტრეს ძისთვის ისტორიის შესასწავლად. მაგრამ იქცა ისტორიის პოპულარულ სახელმძღვანელოდ XVIII საუკუნის II ნახევრის და XIX დასაწყისის რუსეთში.

ისტორიოგრაფიისთვის მნიშვნელოვანია ლომონოსოვის აზრები პეტრე I-თან დაკავშირებით. მეცნიერმა ჯერ კიდევ 1755 წელს დაწერა პეტრე დიდისადმი მიძღვნილი საქებარი სიტვა (,,Слово похвальное блаженные памяти государю императору Петру Великому”) ამით მისცა ერთგვარი მიმართულება პეტრეს აპოლოგეტიკას რუსულ ისტორიულ მეცნიერებაში. პეტრე ლომონოსოვისთვის არის უდიდესი ხელმწიფე, რომელიც პირადი მაგალითით ხელს უწყობდა თავისი გარდაქმნების წარმატებას. მან აჩუქა რუსეთს მეცნიერება და ხელოვნება, მართავდა მტკიცე ხელით, ასწრებდა ყველგან

და ყველაფერს. გასაგებია, რომ ,, საქებარი სიტყვა" თავისი არსით პანეგირიკია, მაგრამ ლომონოსივის აღფრთოვანება პეტრეთი მაინც შთამბეჭდავია და ღმერთს ადარებს (,,Ежели человека богу подобного, по нашему понятию найти надобно, кроме Петра Великого не обретаю") სხვა რუსი მოღვაწეებიდან აკადემიკოსი გამოარჩევდა ივანე მრისხანეს, თვლიდა რა მას პეტრეს წინამორბედად.